ნარჩენი სითბო ენერგიის მოხმარების შესამცირებლად გამოიყენეთ. გათიშეთ საჭმლის მომზადების ზონა საჭმლის მომზადების პროცესის დასრულებამდე დაახლოებით 5 - 10 წუთით ადრე.

საჭმლის მომზადების შერჩეული ზონისთვის დააყენეთ ღილაკი გაცხელების საჭირო პარამეტრზე. ცხობის პროცესის დასრულებისთვის, გადაატრიალეთ ღილაკი გამორთვის პოზიციაში.

### 6.3 საკვების მარტივი მომზადების ზონების გამოყენება

საკვების მარტივი მომზადების გამოსაყენებლად შესაბამისი ღილაკი ერთ-ერთ ქვემოთ მოცემულ პოზიციაზე დააყენეთ:1-9.

ⓘ

1-3 სითბოს პარამეტრებისათვის ზონა დაახლოებით 2-3 წამის განმავლობაში წითელია და შემდეგ დეაქტივირდება.

ⓘ

მას შემდეგ, რაც სიმხურვალის დონეს 8 ან 9.

### 6.4 გარე რგოლების ჩართვა და გამორთვა (ორმაგი ან ოვალური)

შეგიძლიათ დაარეგულიროთ ის ზედაპირი, რომელზეც ამზადებთ, ჭურჭლის ზომის შესაბამისად.

1. თუ სითბოს დონეს 1-9-ს შორის აირჩევთ, საკვების მომზადების მხოლოდ ცენტრალური ნაწილი მუშაობს.
2. გარე რგოლის გასააქტიურებლად ღილაკი საათის ისრის მიმართულებით გადაატრიალეთ, რომ გადააჭარბოს მე-9 პარამეტრს — ◎ .
3. შემდეგ ღილაკი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაატრიალეთ სასურველი სითბოს დონის პარამეტრამდე (1-9). ცენტრალური ნაწილიცა და გარე რგოლიც ერთად მუშაობს.

გარე რგოლის გამოსართავად ღილაკი გამორთვის პოზიციაში გადაატრიალეთ. ცენტრალური ნაწილი და გარე ან ოვალური რგოლი დეაქტივირდება.

ინდიკატორი გაჭრება. საკვების მომზადების ზონის ცენტრალური ნაწილის ხელახლა ჩასართავად გაცხელების დონე 1-9-ს შორის აირჩიეთ.

### 6.5 ნარჩენი სითბოს ინდიკატორი

**⚠ გარფთხილება!**

მანამ, სანამ ინდიკატორი ჩართულია, არსებობს ნარჩენი სითბოსგან დამწვრობის რისკი.

ინდიკატორი ირთვება, როდესაც საჭმლის მომზადების ზონა გახურებულია, მაგრამ ის არ ფუნქციონირებს, თუ ელექტროქსელიდან დენის მიწოდება არ ხდება.

ინდიკატორი ასევე შეიძლება ჩაირთოს:
- გვერდით მდებარე საჭმლის მომზადების ზონებისთვისაც, თუნდაც თქვენ მათ არ იყენებდეთ,
- როდესაც ცხელი ჭურჭელი მომზადების ცივ ზონაზე დევს,
- როდესაც ქურა გამორთულია, მაგრამ საჭმლის მომზადების ზონა ჯერ ისევ ცხელია.

ინდიკატორი ითიშება, როდესაც საჭმლის მომზადების ზონა გრილდება.

## 7. ქურა - მინიშნებები და რჩევები

**⚠ გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 7.1 სამზარეულოს ჭურჭელი

მომზადების შედეგი დამოკიდებულია ჭურჭლის მასალაზე

ⓘ

სამზარეულოს ჭურჭლის ძირი რაც შეიძლება სქელი უნდა იყოს. ქურის ზედაპირზე დადებამდე დარწმუნდით, რომ ტაფის ძირები სუფთა და მშრალია.

ⓘ

კერამიკულ ქურაზე არ გამოიყენოთ ჭურჭელი, რომლის ძირსაც აქვს გამოკვეთილი კიდეები ან შვერილები, მაგ. თუჯის ტაფები. ამან შეიძლება სამუდამოდ დაკაწროს ან გაქექოს ქურის ზედაპირი.

ⓘ

ემალირებული ფოლადისგან დამზადებულმა და ალუმინის ან სპილენძის ძირიანმა სამზარეულოს ჭურჭელმა შეიძლება გამოიწვიოს შუშის-კერამიკის ზედაპირის ფერის ცვლილება.

ენერგიის დაზოგვისა და გაზქურის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად, ჭურჭლის ძირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მინიმალური დიამეტრი (მინიმუმ იგივეა, რაც ზონის დიამეტრი).



### 7.2 საჭმლის მომზადების გამარტივებული სახელმძღვანელო

ⓘ

ცხრილში მოცემული მონაცემები მხოლოდ სახელმძღვანელოდაა.

| სიმხურვალის პარამეტრი | გამოიყენეთ რათა: | დრო (წთ) | მინიშნებები |
|---|---|---|---|
| - 1 | მეინარჩუნეთ მომზადებული საკვების სითბო. | საჭიროებისამებრ | დაახურეთ ჭურჭელს თავსახური. |
| 1 - 2 | ჰოლანდიური სოუსი; დაადნეთ: კარაქი, შოკოლადი, ჟელატინი. | 5 - 25 | დროგამოშვებით მოურიეთ. |
| 2 | გაამკრივეთ: რბილი ომლეტი, გამომცხვარი კვერცხი. | 10 - 40 | მოამზადეთ დაგებული სახურავით. |
| 2 - 3 | ბრინჯიანი და რძიანი კერძების დაბალ ტემპერატურაზე მოსახარშად და მზა კერძების გასაცხელებლად. | 25 - 50 | დაამატეთ ბრინჯზე ორჯერ მეტი სითხე, პროცედურის მანძილზე ნახევრად აურიეთ რძის კერძები. |
| 3 - 4 | მოშუშული ბოსტნეული, თევზი, ხორცი. | 20 - 45 | დაამატეთ რამდენიმე სუფრის კოვზი წყალი. ამ პროცესის დროს შეამოწმეთ წყლის რაოდენობა. |
| 4 - 5 | ორთქლზე მოხარშეთ კარტოფილი და სხვა ბოსტნეულები. | 20 - 60 | დაფარეთ ქვაბის ძირი 1-2 სმ წყლით. ამ პროცესის დროს შეამოწმეთ წყლის დონე. ქვაბს თავსახური არ მოხსნათ. |
| 4 - 5 | მოამზადეთ უფრო დიდი რაოდენობით საჭმელი, მოშუშული ხორცი და სუფები. | 60 - 150 | 3 ლ-მდე სითხე და სხვა ინგრედიენტები. |
| 6 - 7 | ფრთხილი შეწვა: ესკალოპი, საქონლის ხორცის კორდონ ბლუ, კოტლეტი, ხორცის ან თევზის რულეტი, ძეხვეული, ღვიძლი, რუ, კვერცხი, ბლინები, ფუნთუშები. | საჭიროებისამებრ | საჭიროებისამებრ გადააბრუნეთ. |
| 7 - 8 | სრულად შეწვა, დაკეპილი ბრაწულები, ფილეს სტეიკები, სტეიკები. | 5 - 15 | საჭიროებისამებრ გადააბრუნეთ. |
| 9 | აადუღეთ წყალი, მოამზადეთ პასტა, შებრაწული ხორცი (გულიაში, ქვაბში შებრაწული), კარგად შემწვარი ჩიფსები. | | |

## 8. ქურა - მოვლა და დასუფთავება

**⚠ გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 8.1 ზოგადი ინფორმაცია

- გაწმინდეთ ქურა ყოველი გამოყენების შემდეგ.
- ყოველთვის გამოიყენეთ სუფთა ძირის მქონე სამზარეულოს ჭურჭელი.
- ზედაპირზე არსებული ნაკაწრები ან მუქი ლაქები ქურის მუშაობაზე ზემოქმედებას არ ახდენენ.
- გამოიყენეთ ქურის პანელის შესაფერისი სპეციალური საწმენდი საშუალება.
- ყოველთვის გამოიყენეთ მინისზედაპირიანი ქურის პანელებისთვის რეკომენდებული საფხეკი. საფხეკი გამოიყენეთ, როგორც მხოლოდ დამატებითი ხელსაწყო გაწმენდის სტანდარტული პროცედურის შესრულების შემდეგ მინის გასასუფთავებლად.

⚠ **გარფთხილება!**

დანები ან ლითონის სხვა ნებისმიერი ბასრი ხელსაწყო მინის ზედაპირის გასაწმენდად არ გამოიყენოთ.

### 8.2 ქურის გაწმენდა

- **დუყოვნებლივ მოაცილეთ:** გამდნარი პლასტმასი, პლასტიკური ფირი, შაქარი და შაქრის შემცველი საჭმელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭუჭყმა შეიძლება გამოიწვიოს ქურის დაზიანება. მოერიდეთ დამწვრობის მიღებას. გამოიყენეთ ქურის სპეციალური საფხეკი შუშის ზედაპირზე მახვილი კუთხის პოზიციით და ამოძრავეთ პირი ზედაპირზე.
- **მოაცილეთ, როდესაც ქურა საკმარისად გაგრილდება:** კირის ნადების ლაქები, წყლის რგოლის ფორმის ლაქები, ცხიმის ლაქები, მბზინვარე ლითონზე გაუფერულებული ადგილები. ქურა გაწმინდეთ სველი ტილოთი და არააბრაზიული სარეცხი საშუალებით. გაწმენდის შემდეგ ქურა რბილი ჩვრით გაამშრალეთ.
- **მბზინავი მეტალის გაუფერულების მოშორება:** გამოიყენეთ სოდისა და ლიმონის წვენის ან ძმრის ნარევი.

## 9. ღუმელი - ყოველდღიური გამოყენება

⚠ **გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 9.1 ღუმლის ჩართვა და გამორთვა

1. ღუმლის ფუნქციის ასარჩევად გადაატრიალეთ ღუმლის ფუნქციების მბრუნავი ღილაკი.
2. ტემპერატურის ასარჩევად გადაატრიალეთ ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი.

ნათურა აინთება, როცა ღუმელი მუშაობას დაიწყებს.

ⓘ

სიმხურვალის გარეშე ფუნქციებისათვის ტემპერატურის დაყენების საჭიროება არ არსებობს.

3. ნათურის გამოსართავად გადატრიალებით გამორთულ მდგომარეობაში მოიყვანეთ ღუმლის ფუნქციებისა და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკები.

### 9.2 უსაფრთხოების თერმოსტატი

ღუმელის არასწორმა გამოყენებამ ან დეფექტურმა კომპონენტებმა შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო გადაცხელება. ამის თავიდან ასაცილებლად ღუმელს აქვს უსაფრთხოების თერმოსტატი, რომელიც წყვეტს ელექტროენერგიის მიწოდებას.

ღუმელი ხელახლა ირთვება ავტომატურად, როცა ტემპერატურა ეცემა.

### 9.3 ღუმლის ფუნქციები

| | |
|---|---|
| 0 | **გამორთული მდგომარეობა**<br>ღუმელი გამორთულია. |
| | **ღუმლის ნათურა**<br>ნათურის ჩართვა საჭმლის მომზადების ფუნქციის გარეშე. |
| | **SteamBake**<br>საჭმლის მომზადების პროცესში ტენიანობის დამატება. ცხობის დროს სათანადო ფერისა და ხრაშუნა ქერქის მიღება. შეთბობის დროს წვნიანობის მომატება. ხილისა ან ბოსტნეულის დაკონსერვება. |
| | **ქვედა წვა**<br>ხრაშუნა ძირის მქონე ნამცხვრების გამოცხობა. |
| | **კონვენციური მომზადება**<br>გამოცხობა და შეწვა თაროს ერთ პოზიციაზე. |
| | **სწრაფი შეწვა გრილზე**<br>დიდი ოდენობის საჭმლის თხელი ნაჭრების გრილზე შეწვა ან პურის გახუხვა. |
| | **ტურბო გრილი**<br>ხორცის დიდი ნაჭრების ან ძვლიანი ფრინველის შეწვა თაროს ერთ პოზიციაზე. გრატინის მომზადება და შებრაწვა. |

**კონვექციური მომზადება**
თაროს ერთზე მეტ პოზიციაზე, საჭმლის მომზადების იმავე ტემპერატურაზე, საჭმლის არომატის გადაფარვის გარეშე, შესაწვავად ან შესაწვავად და გამოსაცხობად.

**ცხობა ტენიანი ვენტილატორით**
ეს ფუნქცია გამოიყენება ენერგოეფექტურობის კლასისა და ეკოდიზაინის მოთხოვნების შესაბამისად (როგორც ამას განსაზღვრავს EU 65/2014 და EU 66/2014). შემოწმებას გადის: IEC/EN 60350-1-ის შესაბამისად.
საჭმლის მომზადების განმავლობაში ღუმლის კარი დახურული უნდა იყოს, რომ ფუნქცია არ შეფერხდეს და ღუმელმა მაქსიმალური ენერგოეფექტურობით იმუშაოს.
ამ ფუნქციის გამოყენების დროს კამერაში არსებული ტემპერატურა შეიძლება განსხვავდებოდეს დაყენებული ტემპერატურისგან. გაცხელების სიმძლავრე შეიძლება შემცირდეს. ენერგიის დაზოგვის შესახებ ზოგადი რეკომენდაციების მისაღებად იხილეთ თავი „ენერგოეფექტურობა“, ენერგიის დაზოგვა. ეს ფუნქცია შექმნილია საჭმლის მომზადების დროს ენერგიის დასაზოგად. საჭმლის მომზადების ინსტრუქციის მისაღებად იხილეთ თავი „მინიშნებები და რჩევები“, ცხობა ტენიანი ვენტილატორით.

**AirFry/**
**მომზადება ვენტილატორის გამოყენებით**
საჭმლის შეწვა ნაკლები ზეთით ან საცხობი ქაღალდის გარეშე. განკუთვნილია ისეთი საჭმლისთვის, როგორიცაა კარტოფილი ფრი ან პიცა. /
ერთდროულად მაქსიმუმ ორი თაროს პოზიციაზე ცხობა და საკვების გამოშრობა. დააყენეთ 20 - 40 °C-ით ნაკლები ტემპერატურა ვიდრე კონვენციური მომზადება-ისთვის.

**გალღობა**
საკვების გალღობა. გალღობის დრო დამოკიდებულია გაყინული საკვები პროდუქტის ოდენობასა და ზომაზე.

## 9.4 ფუნქციის გააქტიურება: SteamBake

ეს ფუნქცია ხელს უწყობს ტენიანობის გაუმჯობესებას საჭმლის მომზადების პროცესში.

**⚠ გარფთხილება!**
დაწვისა და მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

გამოსულმა ტენიანობამ შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს:

- არ გააღოთ მოწყობილობის კარი ამ ფუნქციის გამოყენების დროს: SteamBake-ით.
- მოწყობილობის კარი ფრთხილად გააღეთ ამ ფუნქციის გამოყენების შემდეგ: SteamBake-ით.

ⓘ
იხილეთ თავი „რჩევები და მითითებები”.

1. გააღეთ ღუმლის კარი.
2. აავსეთ ონკანის წყლით კამერის რელიეფური ნაწილი. კამერის რელიეფური ნაწილის მაქსიმალური ტევადობაა 250 მლ. კამერის რელიეფური ნაწილი წყლით შეავსეთ მხოლოდ მაშინ, როცა ღუმელი გრილია.
3. დააყენეთ ფუნქცია: SteamBake.
4. ტემპერატურის ასარჩევად გადაატრიალეთ ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი.
5. შედეთ საჭმელი მოწყობილობაში და დახურეთ ღუმლის კარი.

**⚠ სიფრთხილე!**
წყლით ხელახლა არ შეავსოთ კამერის რელიეფური ნაწილი, როცა საჭმელი მზადდება ან ღუმელი ცხელია.

6. მოწყობილობის გამოსართავად, გადატრიალებით გამორთულ მდგომარეობაში მოიყვანეთ ღუმელის ფუნქციებისა და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკები.
7. ამოიღეთ წყალი კამერის რელიეფური ნაწილიდან.

**⚠ გარფთხილება!**
მოწყობილობა აუცილებლად უნდა გაგრილდეს, სანამ კამერის რელიეფური ნაწილიდან დარჩენილ წყალს ამოიღებთ.

# 10. ღუმელი - საათის ფუნქციები

## 10.1 დისპლეი




**A.** საათის ფუნქციები
**B.** ტაიმერი

## 10.2 ღილაკები

| ღილაკი | ფუნქცია | აღწერა |
|---|---|---|
| — | მინუსი | დროის დასაყენებლად. |
| | საათი | საათის ფუნქციის დასაყენებლად. |
| + | პლუსი | დროის დასაყენებლად. |

## 10.3 საათის ფუნქციების ცხრილი

| საათის ფუნქცია | | გამოყენება |
|---|---|---|
| | დღის მონაკვეთი | დროის დაყენება, შეცვლა ან შემოწმება. |
| | ხანგრძლივობა | ღუმელის მუშაობის ხანგრძლივობის დაყენება. |
| | წუთობრივი შემხსენებელი | უკუთვლის დროის დაყენება. ფუნქცია არ მოქმედებს ღუმელის მუშაობაზე. წუთების მთვლელის დაყენება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მამინაც, როცა ღუმელი გამორთულია. |

## 10.4 ხანგრძლივობის დაყენება

1. დააყენეთ ღუმლის ფუნქცია და ტემპერატურა.
2. რამდენჯერმე ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს: , სანამ არ დაიწყებს ციმციმს.
3. ხანგრძლივობის დასაყენებლად დაჭერით აირჩიეთ + ან —.

დისპლეიზე ნაჩვენებია .

4. დროის დასრულების შემდეგ აციმციმდება და გამოიცემა ხმოვანი სიგნალი. მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება.
5. აკუსტიკური სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.
6. შეაბრუნეთ ღუმელის ფუნქციების მბრუნავი ღილაკი და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი გამორთულ პოზიციაზე.

## 10.5 უკუთვლის ტაიმერის დაყენება

1. რამდენჯერმე ხანგრძლივად დააჭირეთ ღილაკს: , სანამ არ დაიწყებს ციმციმს.
2. საჭირო დროის დასაყენებლად დაჭერით აირჩიეთ + ან —.

წუთების მთვლელი ავტომატურად 5 წამის შემდეგ ირთვება.

3. დაყენებული დროის გასვლის შემდეგ აკუსტიკური სიგნალი გამოიცემა.

აკუსტიკური სიგნალის გამოსართავად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.

4. შეაბრუნეთ ღუმელის ფუნქციების მბრუნავი ღილაკი და ტემპერატურის მბრუნავი ღილაკი გამორთულ პოზიციაზე.

### 10.6 საათის ფუნქციების გაუქმება

1. დააჭირეთ ⏲-ს რამდენჯერმე განმეორებით, სანამ დღის დროის ფუნქციის ინდიკატორი არ აციმციმდება.
2. ხანგრძლივად შეეხეთ —. საათის ფუნქცია რამდენიმე წამის შემდეგ გამოირთვება.

## 11. ღუმელი - აქსესუარების გამოყენება

⚠ **გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 11.1 აქსესუარების ჩასმა

აქსესუარები ხელმისაწვდომია მოდელის მიხედვით. დაასკანირეთ QR-კოდი, რომ გაეცნოთ, როგორ გამოიყენოთ მოწყობილობასთან ერთად მოწოდებული აქსესუარები. დამატებითი აქსესუარების შეკვეთა ცალკე შეგიძლიათ. დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ მომწოდებელს.

მცირე ნაჭდევები უსაფრთხოებას ზრდის და დაქანებისგან დაცვას უზრუნველყოფს. ისინი გადმოვარდნის საწინააღმდეგო მოწყობილობებიცაა. თაროს ირგვლივ კიდე ხელს უშლის თაროდან სამზარეულოს ჭურჭლის გადაცურებას.

ჩასვით აქსესუარი (ცხაურა / ლანგარი) თაროს დამჭერის მიმმართველ ღეროებს შორის. დარწმუნდით, რომ თარო ეხება ღუმელის ინტერიერის უკანა მხარეს.



თუ ლანგარი დახრილია, მოათავსეთ ის ღუმელის კამერის უკანა მხარისკენ.

თუ აქსესუარზე არის წარწერა, დარწმუნდით, რომ ის მომართულია თქვენკენ.

თუ იყენებთ ნახვრეტების მქონე ლანგარს, მოათავსეთ ლანგარი/ტაფა ქვემოდან მწვეთავი სითხეების შესაგროვებლად.

### 11.2 ტელესკოპური მიმმართველები

ⓘ

თქვენ კვლავ შეძლებთ ტელესკოპური მიმმართველების თაროს სხვადასხვა დონეებზე დამონტაჟებას, გამონაკლისს წარმოადგენს მე-4 დონე.

#### ტელესკოპური მიმმართველების მონტაჟი

1. მოატრიალეთ ტელესკოპური მიმმართველი დაახლოებით 90°-იანი კუთხით.

2. გადაასრიალეთ დამჭერი თაროს დამჭერ რელსზე არსებული ტელესკოპური მიმმართველის უკანა ბოლოზე. დარწმუნდით, რომ მიმმართველს ღუმლის სწორ მხარეს დებთ.




3. შეატრიალეთ მიმმართველი სწორ პოზიციაში. ერთ ბოლოზე არსებული ელემენტის შესაჩერებლად, ტელესკოპური მიმმართველი ზემოთ უნდა იყოს მიმართული.
4. მიაწექით მიმმართველს ბოლომდე კამერის უკანა კედლისაკენ.
5. მიაწექით მიმმართველის წინა ბოლოს თაროს დამჭერ რელსზე. როდესაც წინა ბოლოს დამჭერი სწორად ჩაჯდება, გაიგონებთ ტკაცუნის ხმას.
6. გაიმეორეთ იგივე ნაბიჯები მეორე ტელესკოპური მიმმართველის დამონტაჟებისათვის. დარწმუნდით, რომ ერთსა და იმავე დონეზე არ არის ორი ტელესკოპური სასრიალებელი.

### ტელესკოპური მიმმართველების მოხსნა.

1. ხანგრძლივად დააჭირეთ ტელესკოპური მიმმართველის წინა ბოლოს დამჭერზე.




2. თაროს დამჭერიდან გამოსწიეთ მიმმართველის წინა ბოლო.
3. მოატრიალეთ ტელესკოპური მიმმართველი დაახლოებით 90°-იანი კუთხით.
4. მიმმართველის უკანა ბოლო გამოიღეთ თაროს დამჭერიდან.
5. გაიმეორეთ იგივე ნაბიჯები მეორე ტელესკოპური მიმმართველის გამოსაღებად.

## 12. ღუმელი - მინიშნებები და რჩევები

**⚠ გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

ⓘ

ცხრილში მოცემული ტემპერატურა და ცხობის დრო მხოლოდ სახელმძღვანელო დანიშნულებისაა. ისინი დამოკიდებულია რეცეპტებსა და გამოყენებული ინგრედიენტების ხარისხსა და ოდენობაზე.

### 12.1 SteamBake

ⓘ

წინასწარ გაცხელებამდე შეავსეთ კამერის ზედაპირი წყლით მხოლოდ მაშინ, როცა ღუმელი ცივია.

იხ. განყოფილება „ფუნქციის აქტივაცია: SteamBake“

**საცხობი**

| საკვები | წყალი კამერის ღრუში (მლ) | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური[1)] | 100 | 180 | 35 - 40 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ფუნთუშები[1)] | 100 | 200 | 20 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| სახლში გამომცხვარი პიცა[1)] | 100 | 230 | 10 - 20 | 1 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ფოკაჩა[1)] | 100 | 190 - 210 | 20 - 25 | 1 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ორცხობილები, სკონები, კრუასანები[1)] | 100 | 150 - 180 | 10 - 20 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ქლიავის ნამცხვარი, ვაშლის ნამცხვარი, დარიჩინის ფუნთუშები[1)] | 100 | 180 | 20 | 2 | გამოიყენეთ ტორტის ფორმა. |

**1)** გამოცხობამდე ცარიელი ღუმელი წინასწარ გაახურეთ 5 წუთის განმავლობაში.

**მომზადება გაყინულიდან**

| საკვები | წყალი კამერის ღრუში (მლ) | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|---|
| პიცა, გაყინული[1)] | 150 | 200 - 210 | 10 - 20 | 2 | გამოიყენეთ ცხაურა |
| კრუასანი, გაყინული[1)] | 150 | 160 - 170 | 25 - 30 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |

**1)** გამოცხობამდე ცარიელი ღუმელი წინასწარ გაახურეთ 10 წუთის განმავლობაში.

**საკვების რეგენერაცია**

| საკვები | წყალი კამერის ღრუში (მლ) | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ფუნთუშები | 100 | 110 | 10 - 20 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| სახლში გამომცხვარი პიცა | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |

| საკვები | წყალი კამერის ღრუში (მლ) | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|---|
| ფოკაჩა | 100 | 110 | 10 - 20 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ბოსტნეული | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ბრინჯი | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| პასტა | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |
| ხორცი | 100 | 110 | 15 - 25 | 2 | გამოიყენეთ საცხობი ლანგარი. |

**შეწვა**

| საკვები | წყალი კამერის ღრუში (მლ) | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|---|
| შემწვარი ღორის ხორცი | 200 | 180 | 65 - 80 | 2 | გამოიყენეთ ცხაურა და საცხობი ლანგარი. |
| შემწვარი ძროხის ხორცი | 200 | 200 | 50 - 60 | 2 | გამოიყენეთ ცხაურა და საცხობი ლანგარი. |
| ქათამი | 200 | 210 | 60 - 80 | 2 | გამოიყენეთ ცხაურა და საცხობი ლანგარი. |
| შემწვარი ინდაური | 200 | 200 | 70 - 90 | 2 | გამოიყენეთ ცხაურა და საცხობი ლანგარი. |

## 12.2 ცხობა ტენიანი ვენტილატორით

| საკვები | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|
| **პური და პიცა** | | | | |
| ფუნთუშები | 190 | 25 - 30 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| პურის ხვეულები | 200 | 40 - 45 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| გაყინული პიცა 350 გრ. | 190 | 25 - 35 | 2 | ცხაურა |
| **ნამცხვრები საცხობ ლანგარში** | | | | |
| რულეტი | 180 | 20 - 30 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| ბრაუნი | 180 | 35 - 45 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| **ნამცხვრები ფორმაში** | | | | |
| სუფლე | 210 | 35 - 45 | 2 | კერამიკის ექვსი საცხობი ფორმა ცხაურაზე |

| საკვები | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია | აქსესუარები |
|---|---|---|---|---|
| ბისკვიტის ცომის ფლანის ბაზა | 180 | 25 - 35 | 2 | თუნუქის საცხობი ფორმა ბადე თაროზე |
| ბისკვიტი | 150 | 35 - 45 | 2 | ნამცხვრის ფორმა ცხაურაზე |
| **თევზი** | | | | |
| თევზი პაკეტებში 300 გრ. | 180 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| მთლიანი თევზი 200 გრ. | 180 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| თევზის ფილე 300 გრ. | 180 | 30 - 40 | 2 | პიცის ტაფა ცხაურაზე |
| **ხორცი** | | | | |
| ხორცი პაკეტში 250 გრ. | 200 | 35 - 45 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| ხორცის შამფურები 500 გრ. | 200 | 30 - 40 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| **პატარა გამომცხვარი პროდუქტები** | | | | |
| ორცხობილები | 170 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| მაკარუნები | 170 | 40 - 50 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| მაფინები | 180 | 30 - 40 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| არომატული კრეკერი | 160 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| ფხვიერი ცომის ბისკვიტები | 140 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| ტარტალეტები | 170 | 20 - 30 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| **ვეგეტარიანული** | | | | |
| ბოსტნეულის ასორტი პაკეტში 400 გრ. | 200 | 20 - 30 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |
| ომლეტი | 200 | 30 - 40 | 2 | პიცის ტაფა ცხაურაზე |
| ბოსტნეული ლანგარზე 700 გრ. | 190 | 25 - 35 | 2 | საცხობი სინი ან ღრმა ტაფა |

## 12.3 AirFry

### საცხობი პროდუქტები

| საკვები | რაოდენობა | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| კრუასანი, გაყინული | დაახლ. 350 გრ. | 180 - 220 | 15 - 30 | 2 |
| ფენოვანი ცომი, გაყინული | დაახლ. 400 გრ. | 180 - 220 | 15 - 35 | 2 |
| ფენოვანი ცომი, ახალი | დაახლ. 300 გრ. | 180 - 220 | 15 - 35 | 2 |
| პიცა, გაყინული | დაახლ. 340 გრ. | 180 - 220 | 20 - 35 | 2 |

**კარტოფილის პროდუქტები**

| საკვები | რაოდენობა | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| კარტოფილის ფრი, გაყინული | დაახლ. 650 გრ. | 180 - 220 | 20 - 30 | 2 |
| კარტოფილის ფრი მსხვილი, გაყინული | დაახლ. 600 გრ. | 180 - 220 | 20 - 30 | 2 |
| კარტოფილი მექსიკურად, გაყინული | დაახლ. 650 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |
| ფრიკადელები | დაახლ. 450 გრ. | 180 - 220 | 15 - 30 | 2 |

**ახალი ბოსტნეული**

| საკვები | რაოდენობა | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| ყაბაყის ნაჭრები, ახალი **1)** | დაახლ. 500 გრ. | 180 - 220 | 25 - 35 | 2 |

**1)** დაამატეთ 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, რომ არ მიიკრას

**სხვა**

| საკვები | რაოდენობა | ტემპერატურა (°C) | დრო (წთ) | თაროს პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| ესკალოპები, გაყინული | დაახლ. 300 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |
| კრევეტები გამოსაცხობ ცომში, გაყინული | დაახლ. 200 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |
| კალმარის რგოლები, გაყინული | დაახლ. 250 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |
| ქათმის ნაგეთსი, გაყინული | დაახლ. 300 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |
| თევზის ჩხირები, გაყინული | დაახლ. 500 გრ. | 180 - 220 | 15 - 25 | 2 |

## 12.4 ინფორმაცია ტესტირების დაწესებულებებისთვის

| საკვები | ფუნქცია | ტემპერატურა (°C) | აქსესუარები | თაროს პოზიცია | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| პატარა ნამცხვრები (16 ცალი ერთ ლანგარზე) | კონვენციური მომზადება | 160 | საცხობი ლანგარი | 3 | 20 - 30 |
| პატარა ნამცხვრები (16 ცალი ერთ ლანგარზე) | კონვექციური მომზადება | 150 | საცხობი ლანგარი | 3 | 20 - 30 |
| პატარა ნამცხვრები (16 ცალი ერთ ლანგარზე) | მომზადება ვენტილატორის გამოყენებით | 160 | საცხობი ლანგარი | 1 + 3 | 30 - 40 |
| ვაშლის ღვეზელი (2 ფორმა Ø20 სმ, დიაგონალურად შერეული) | კონვენციური მომზადება | 190 | ცხაურა | 1 | 65 - 75 |

| საკვები | ფუნქცია | ტემპერატურა (°C) | აქსესუარები | თაროს პოზიცია | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| ვაშლის ღვეზელი (2 ფორმა Ø20 სმ, დიაგონალურად შერეული) | კონვექციური მომზადება | 180 | ცხაურა | 2 | 70 - 80 |
| უცხიმო ბისკვიტი | კონვენციური მომზადება | 180 | ცხაურა | 2 | 20 - 30 |
| უცხიმო ბისკვიტი | კონვექციური მომზადება | 160 | ცხაურა | 2 | 25 - 35 |
| უცხიმო ბისკვიტი | მომზადება ვენტილატორის გამოყენებით | 170 | ცხაურა | 1 + 3 | 30 - 40 |
| პატარა პური / საკონდიტრო ცომის ჩხირები | კონვენციური მომზადება | 140 | საცხობი ლანგარი | 3 | 15 - 30 |
| პატარა პური / საკონდიტრო ცომის ჩხირები | კონვექციური მომზადება | 140 | საცხობი ლანგარი | 3 | 20 - 30 |
| პატარა პური / საკონდიტრო ცომის ჩხირები | მომზადება ვენტილატორის გამოყენებით | 140 | საცხობი ლანგარი | 1 + 3 | 15 - 30 |
| ტოსტი | სწრაფი შეწვა გრილზე | 250 | ცხაურა | 3 | 5 - 10 |
| ძროხის ხორცის ბურგერი **1)** | ტურბო გრილი | 250 | ცხაურა ან ღრმა ტაფა | 3 | 15-20 ერთ მხარეს; 10-15 მეორე მხარეს |

**1)** წინასწარ გააცხელეთ ღუმელი 10 წუთის განმავლობაში.

## 13. ღუმელი - მოვლა და დასუფთავება

> ⚠ **გარფთხილება!**
> იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 13.1 შენიშვნები წმენდის შესახებ

გაწმინდეთ მოწყობილობის წინა ნაწილი რბილი ქსოვილით, თბილი წყლითა და ზომიერი საწმენდი საშუალებით.

ლითონის ზედაპირების გასაწმენდად გამოიყენეთ სპეციალური საწმენდი საშუალება.

ყოველი გამოყენების შემდეგ გაწმინდეთ ქურის შიდა ნაწილი. ცხიმის დაგროვებამ ან საჭმლის სხვა ნარჩენებმა აალება შეიძლება გამოიწვიოს. რისკი უფრო მაღალია გრილის ტაფის შემთხვევაში.

თითოეული გამოყენების შემდეგ გაწმინდეთ და გაამშრალეთ ყველა აქსესუარი. გამოიყენეთ თბილ წყალში დასველებული რბილი ნაჭერი და საწმენდი საშუალება. არ გაწმინდოთ აქსესუარები საჭმლის სარეცხი მანქანით (გამონაკლისია AirFry-ის ლანგარი).

გაწმინდეთ ჩამჯდარი ჭუჭყი ღუმლის სპეციალური საწმენდი საშუალებით. ღუმლის საწმენდი საშუალება არ გამოიყენოთ კატალიზურ ზედაპირებზე.

არ გაწმინდოთ უკრობი აქსესუარები და AirFry-ს ლანგარი აბრაზიული საწმენდი სამუალებით ან ბასრი პირის მქონე საგნებით.

## 13.2 უჟანგავი ფოლადის ან ალუმინის ღუმლები

ღუმლის კარი გაწმინდეთ მხოლოდ სველი ნაჭრით ან ღრუბლით. გაამშრალეთ რბილი ნაჭრით.

არ გამოიყენოთ ფოლადის ნეჭა, მჟავები ან აბრაზიული მასალები, რადგან მათ ღუმლის ზედაპირი შეიძლება დააზიანოს. ღუმლის მართვის პანელი გაწმინდეთ უსაფრთხოების იმავე წესების დაცვით.

## 13.3 კამერის რელიეფური ნაწილის წმენდა

ორთქლზე საჭმლის მომზადების შემდეგ წმენდის პროცედურა კირის ნარჩენს მოაშორებს კამერის რელიეფური ნაწილიდან.

ⓘ

გირჩევთ, წმენდის პროცედურა ჩაატაროთ ფუნქციის მინიმუმ ყოველ 5-10 ციკლში ერთხელ: SteamBake-ით.

1. 250 მლ თეთრი ძმარი ჩაასხით კამერის რელიეფურ ნაწილში ღუმელის ძირზე. გამოიყენეთ მაქსიმუმ 6%-იანი ძმარი ბალახეული მინარევების გარეშე.
2. აცალეთ ძმარს ნარჩენი კირის გახსნა 30 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.
3. გაწმინდეთ კამერა თბილი წყლითა და რბილი ქსოვილით.

## 13.4 თაროს კრონშტაინების

ღუმლის გასაწმენდად მოხსენით თაროს კრონშტაინები.

⚠ **სიფრთხილე!**

თაროს კრონშტაინების მოხსნისას გამოიჩინეთ სიფრთხილე.

1. კარის კრონშტაინის წინა მხარე მოაცილეთ გვერდით კედელს.



2. კარის კრონშტაინის უკანა მხარე მოაცილეთ გვერდით კედელს და მოხსენით.




მოხსნილი ელემენტები დააყენეთ საპირისპირო თანმიმდევრობით.

## 13.5 კატალიტური წმენდა

კამერა დაფარულია კატალიზური მინანქრით. ის ცხიმს შთანთქავს.

კატალიზური წმენდის ჩართვამდე:

- მოხსენით ყველა აქსესუარი .
- გაასუფთავეთ ღუმლის ქვედა ზედაპირი თბილი წყლითა და მსუბუქი საწმენდი საშუალებით.
- გაწმინდეთ შიდა კარის მინა თბილი წყლითა და რბილი ქსოვილით.

1. დააყენეთ ფუნქცია .
2. დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა და ამუშავეთ ღუმელი 1 საათის განმავლობაში.
3. გამორთეთ ღუმელი.
4. ღუმლის გაგრილების შემდეგ კამერა გაწმინდეთ სველი რბილი ქსოვილით.

კატალიზურ წმენდაზე გავლენას არ ახდენს კატალიზური საფარის ლაქები ან ფერის ცვლილება.

## 13.6 ღუმლის მინის პანელების მოხსნა და დაყენება

შეგიძლიათ, გასაწმენდად მოხსნათ მინის შიდა პანელები. მინის პანელების რიცხვი განსხვავდება სხვადასხვა მოდელებისთვის.

**⚠ გარფთხილება!**

წმენდის პროცესში ღუმლის კარი დატოვეთ ოდნავ შეღებული. ბოლომდე გაღების შემთხვევაში შემთხვევით შეიძლება დაიხუროს და პოტენციური ზიანის რისკი შექმნას.

**⚠ გარფთხილება!**

ნუ მოიხმართ მოწყობილობას მინის პანელების გარეშე.

1. კარის გაღების კუთხე 30° უნდა იყოს. ოდნავ შეღების შემთხვევაში კარი დამოუკიდებლად იდგება.




2. კარის თამასა (B) დაიჭირეთ კარის ზედა ნაწილზე ორივე მხარეს და შიგნით მიაწექით ლუკის გასახსნელად.




3. კარის საპირე მოსახსნელად წინ გამოქაჩეთ.

**⚠ გარფთხილება!**

როდესაც შუშის პანელებს იღებთ, ღუმელის კარი ცდილობს დახურვას.

4. დაიჭირეთ კარის მინის პანელების ზედა პირი და ერთიმეორის მიყოლებით გამოიღეთ.
5. მინის პანელი წყლითა და საპნით გაასუფთავეთ. ფრთხილად გაამშრალეთ მინის პანელი.

წმენდის დასრულების შემდეგ დააყენეთ მინის პანელები და ღუმლის კარი. საპირისპირო თანმიმდევრობით შეასრულეთ ზემოთ მოცემული ნაბიჯები. პირველ რიგში დააყენეთ პატარა პანელი, შემდეგ კი – შედარებით დიდი.

**⚠ სიფრთხილე!**

დარწმუნდით, რომ შესაფერის ადგილებში სვამთ მინის შიდა პანელს.

## 13.7 უჯრა

შესანახი უჯრა მდებარეობს ღუმელის ღრუს ქვემოთ.

**⚠ გარფთხილება!**

არ მოათავსოთ საჭმელი უჯრაში.

**⚠ გარფთხილება!**

არ მოათავსოთ ალებადი ნივთები, როგორიცაა საწმენდი საშუალებები, პოლიეთილენის პარკები, ღუმელის ხელთათმანები, ქაღალდი, საწმენდი პროდუქტები, აეროზოლი ან პლასტმასის ნივთები, უჯრაში. ღუმლის გამოყენების პროცესში უჯრა შეიძლება გახურდეს. არსებობს აალების რისკი.

ღუმლის ქვემოთ არსებული უჯრა შეიძლება მოხსნათ გაწმენდის მიზნით.

**უჯრის ამოღება:**

1. მოქაჩეთ უჯრას მანამდე, სანამ არ გაჩერდება.
2. ოდნავ ასწიეთ უჯრა, რათა მოხდეს მისი აწევა ზედა მიმართულებით უჯრის მიმმართველის კუთხისკენ.

უჯრის დასაყენებლად შეასრულეთ აღნიშნული პროცედურა პირიქით.

### 13.8 ნათურის გამოცვლა

**⚠ გარფთხილება!**

დენის დარტყმის რისკი.
ნათურა შეიძლება ცხელი იყოს.

1. გამორთეთ ღუმელი. დაელოდეთ ღუმლის გაგრილებას.
2. ელექტროქსელიდან გამოაერთეთ ღუმელი.
3. კამერის ძირზე დააფინეთ ნაჭერი.

უკანა სანათი

1. გადასწიეთ ნათურის მინის ხუფი მის მოსახსნელად.
2. გაწმინდეთ მინის საფარი.
3. შეცვალეთ ნათურა შესაბამისი 300 °C ტემპერატურის მიმართ მედეგი ნათურით.
4. დააყენეთ მინის ხუფი.

## 14. პრობლემის აღმოფხვრა

**⚠ გარფთხილება!**

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

### 14.1 რა უნდა გავაკეთო, თუ...

| პრობლემა | შესაძლო მიზეზი | გამოსავალი |
|---|---|---|
| მოწყობილობას ვერ გაააქტიურებთ. | მოწყობილობა არ არის ან არასწორად არის დაკავშირებული ელექტროქსელთან. | შეამოწმეთ, არის თუ არა მოწყობილობა სწორად დაკავშირებული ელექტროქსელთან. |
| | მცველი გადამწვარია. | დარწმუნდით, რომ გაუმართაობის მიზეზს მცველი წარმოადგენს. თუ მცველი რამდენჯერმე გადაიწვა, მიმართეთ კვალიფიციურ ელექტრიკოსს. |
| თქვენ ვერ გააქტიურებთ და ვერ ამუშავებთ კონფორს. | მცველი გადამწვარია. | ხელახლა ჩართეთ ქურა და დააყენეთ გაცხელების პარამეტრი 10 წამზე ნაკლებ დროზე. |
| ნარჩენი გაცხელების ინდიკატორი არ ირთვება. | ზონა არ არის ცხელი, რადგან ცოტა ხნის განმავლობაში მუშაობდა. | თუ ზონა საკმარისი ხნის განმავლობაში მუშაობს იმისათვის, რომ გაცხელებულიყო, დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს. |
| არ შეგიძლიათ გარე რგოლის ჩართვა. | | ჯერ ჩართეთ შიდა რგოლი. |
| ღუმელი არ ცხელდება. | ღუმელი გამორთულია. | გააქტიურეთ ღუმელი. |
| | საჭირო პარამეტრები არ არის დაყენებული. | დარწმუნდით, რომ პარამეტრები სწორია. |
| | საათი არ არის დაყენებული. | დააყენეთ საათი. |
| ნათურა არ მუშაობს. | ნათურა დაზიანებულია. | გამოცვალეთ ნათურა. |

| პრობლემა | შესაძლო მიზეზი | გამოსავალი |
|---|---|---|
| ორთქლი და კონდენსაცია ილექება საჭმელზე და ღუმელის კამერაში. | კერძი ძალიან დიდი ხნით დატოვეთ ღუმელში. | კერძები არ დატოვოთ ღუმელში 15-20 წუთზე მეტი ხნით საჭმლის მომზადების პროცესის დასრულების შემდეგ. |
| კერძების მომზადებას ძალიან დიდი დრო სჭირდება ან ისინი ძალიან სწრაფად მზადდება. | ტემპერატურა ძალზე მაღალია ან დაბალია. | საჭიროების შემთხვევაში, დაარეგულირეთ ტემპერატურა. მიჰყევით სახელმძღვანელოს რჩევებს. |
| ეკრანზე აისახება „12.00“. | ელექტროენერგიის მიწოდება გაითიშა. | გადატვირთეთ საათი. |
| ვერ ააქტიურებთ და ვერ ამუშავებთ ღუმელს. ეკრანზე აისახება „400“ და ისმის ხმოვანი სიგნალი. | ღუმელი არასწორად არის მიერთებული დენის წყაროსთან. | შეამოწმეთ, ღუმელი სწორად არის თუ არა მიერთებული დენის წყაროსთან (იხილეთ შეერთებების სქემა, თუ ხელმისაწვდომია). |
| საჭმლის კარგად მომზადება ვერ ხერხდება ფუნქციის: SteamBake გამოყენებისას. | თქვენ არ გააქტიურეთ SteamBake ფუნქცია. | იხ. განყოფილება „ფუნქციის აქტივაცია: SteamBake“. |
| | თქვენ კამერის რელიეფური ნაწილი (ამონაბურცი) წყლით არ შეავსეთ. | იხ. განყოფილება „ფუნქციის აქტივაცია: SteamBake“. |
| კამერის რელიეფურ ნაწილში (ამონაბურცში) წყალი არ დუღს. | ტემპერატირა ძალიან დაბალია. | დააყენეთ ტემპერატურა მინიმუმ 110 °C-ზე. იხილეთ თავი „ღუმელი - მინიშნებები და რჩევები“. |
| კამერის რელიეფური ნაწილიდან წყალი გადმოდის. | კამერის რელიეფურ ნაწილში ზედმეტი წყალია. | გამორთეთ ღუმელი და დარწმუნდით, რომ მოწყობილობა გაცივდა. წყალი გაწმინდეთ ტილოთი ან ღრუბლით. დაამატეთ საჭირო რაოდენობის წყალი კამერის რელიეფურ ნაწილში. იხილეთ ინფორმაცია სპეციალური პროცედურის შესახებ. |

## 14.2 მომსახურების მონაცემები

თუ პრობლემის გადაჭრის გზას თავად ვერ პოულობთ, დაუკავშირდით თქვენს დილერს ან ავტორიზებულ სერვისცენტრს.

სერვისცენტრის საჭირო მონაცემები მითითებულია ქარხნული პასპორტის ფირფიტაზე. ქარხნული პასპორტის ფირფიტა მოწყობილობის კამერის წინა ჩარჩოზეა. არ მოხსნათ მოწყობილობის კამერის ქარხნული პასპორტის ფირფიტა.

| გირჩევთ, მონაცემები დაწეროთ აქ: | |
|---|---|
| მოდელი (MOD.) | ..... |
| პროდუქტის ნომერი (PNC) | ..... |
| სერიული ნომერი (S.N.) | ..... |

# 15. ენერგოეფექტურობა

## 15.1 ინფორმაცია პროდუქტის შესახებ ქურის ეკოდიზაინთან დაკავშირებული ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად

| | | |
|---|---|---|
| მოდელის იდენტიფიკაცია | LKR564255X | |
| ქურის ტიპი | ღუმლის ზედაპირი ცალკე მდგომი ქურის შიგნით | |
| საჭმლის მოსამზადებელი ზონების რაოდენობა | 4 | |
| გათბობის ტექნოლოგია | ინფრაწითელი გამათბობელი | |
| საჭმლის მოსამზადებელი წრიული ზონების დიამეტრი (Ø) | მარცხენა უკანა<br>მარჯვენა წინა<br>მარცხენა წინა | 14.0 სმ<br>14.0 სმ<br>18.0 სმ |
| საჭმლის მოსამზადებელი წრიული ზონის სიგრძე (L) და სიგანე (W) | მარჯვენა უკანა | W 14.0 სმ<br>L 25.0 სმ |
| საჭმლის მოსამზადებელი ერთი ზონის ენერგომოხმარება (EC electric cooking) | მარცხენა უკანა<br>მარჯვენა უკანა<br>მარჯვენა წინა<br>მარცხენა წინა | 181.8 ვტსთ/კგ<br>184.3 ვტსთ/კგ<br>181.8 ვტსთ/კგ<br>190.1 ვტსთ/კგ |
| სახურავის ენერგომოხმარება (EC electric hob) | | 184.5 ვტსთ/კგ |

IEC/EN 60350-2 - საყოფაცხოვრებო სამზარეულოს ელექტროტექნიკა - ნაწილი 2: ქურები - წარმადობის გაზომვის მეთოდები.

## 15.2 ქურა- ენერგიის დაზოგვით

თუ ქვემოთ მითითებულ რჩევებს გაითვალისწინებთ, შეძლებთ ენერგიის საკვების ყოველდღიურად მომზადებისას დაზოგვას.

- წყლის გაცხელებისას, გამოიყენეთ მხოლოდ თქვენთვის საჭირო რაოდენობა.
- შეძლებისდაგვარად, სამზარეულოს ჭურჭელს ყოველთვის დაახურეთ თავსახური.
- საკვების მომზადების ზონის გააქტიურამდე, მასზე მოათავსეთ სამზარეულოს ჭურჭელი.
- სამზარეულოს ჭურჭლის ძირი უნდა იყოს იგივე დიამეტრი საკვების მომზადების ზონის დიამეტრის ტოლი უნდა იყოს.
- უფრო მცირე ზომის სამზარეულოს ჭურჭელი მოათავსეთ საკვების მომზადების შედარებით მცირე ზომის ზონებზე.
- სამზარეულოს ჭურჭელი საკვების მომზადების ზონის ცენტრში მოათავსეთ.
- ნარჩენი სიცხე გამოიყენეთ საკვების სითბოს შესანარჩუნებლად ან მის გასადნობად.

## 15.3 პროდუქტის საინფორმაციო ფურცელი და პროდუქტის შესახებ ინფორმაცია ევროკავშირის ენერგოეტიკეტირებასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და ეკოდიზაინის შესაბამისად მიკროტალღური ღუმელებისთვის

| | |
|---|---|
| მომწოდებლის დასახელება | Electrolux |
| მოდელის იდენტიფიკაცია | LKR564255X 943005688 |
| ენერგოეფექტურობის ინდექსი | 94.9 |
| ენერგო ეფექტური კლასი | A |
| ენერგიის მოხმარება სტანდარტული დატვირთვისას, კონვექციური რეჟიმი | 0.84 კვტსთ/ციკლი |
| ენერგიის მოხმარება სტანდარტული დატვირთვით, ვენტილირებული რეჟიმი | 0.75 კვტსთ/ციკლი |
| კამერების რაოდენობა | 1 |
| სითბოს წყარო | ელექტრობა |
| მოცულობა | 58 ლ |
| ღუმლის ტიპი | ღუმელი ცალკე მდგომ ჭურაში |
| მასა | 42.0 კგ |

/ IEC/EN 60350-1- საყოფაცხოვრებო ელექტროელსაწყოები საჭმლის მოსამზადებლად -ნაწილი 1: ქურები, ღუმელები, ორთქლის ღუმელები და გრილები - წარმადობის გაზომვის მეთოდები.

## 15.4 ღუმელი - ენერგიის დაზოგვა

ქვემოთ მოცემული რჩევები დაგეხმარებათ ენერგიის დაზოგვაში.

დარწმუნდით, რომ მოწყობილობის მუშაობის პროცესში კარი დახურულია. მზადების პროცესის განმავლობაში მოწყობილობის კარს ხშირად ნუ გააღებთ. შეინარჩუნეთ კარის შუასადების სისუფთავე და დარწმუნდით რომ იგი მის პოზიციაში კარგადაა ფიქსირებული.

ენერგიის დაზოგვის გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ სამზარეულოს მეტალის ჭურჭელი, მუქი ქილები და კონტეინერები, რომლებიც შუქს არ ირეკლავს.

არ გაახუროთ მოწყობილობა წინასწარ საჭმლის მომზადებამდე, თუ ეს სპეციალურად არ არის რეკომენდებული.

ერთდროულად რამდენიმე კერძის მომზადების დროს, ეცადეთ ცხობას შორის შუალედები მინიმუმამდე დაიყვანოთ.

**ვენტილატორით მზადება**
როდესაც ეს შესაძლებელია, ენერგიის დაზოგვის მიზნით გამოიყენეთ ვენტილატორით მზადების ფუნქციები.

**ნარჩენი სითბო**
ცხობის 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში, ცხობის დასრულებამდე მინიმუმ 3-10 წუთით ადრე შეამცირეთ მოწყობილობის ტემპერატურა. მზადების პროცესი გაგრძელდება მოწყობილობაში არსებული ნარჩენი სითბოს გამოყენებით.

გამოიყენეთ ნარჩენი სითბო საკვების თბილად შესანახად და სხვა კერძების შესათბობად.

**საჭმლის სითბოს შენარჩუნება**
ნარჩენი სითბოს გამოსაყენებლად და საკვების თბილად შესანახად აირჩიეთ შესაძლო უდაბლესი ტემპერატურა.

**ცხობა ტენიანი ვენტილატორით**
ფუნქცია შექმნილია მზადების მანძილზე ენერგიის დასაზოგად. დამატებითი დეტალებისთვის იხელმძღვანელეთ თავით „მოწყობილობა - ყოველდღიური გამოყენება“ მოწყობილობის ფუნქციები.

### 15.5 ინფორმაცია პროდუქტის შესახებ: ენერგიის მოხმარება და დაბალი ენერგომოხმარების რეჟიმზე გადასვლის მაქსიმალური დრო

| | |
|---|---|
| ენერგიის მოხმარება ლოდინის რეჟიმში | 0.8 ვტ |
| მაქსიმალური დრო, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მოწყობილობა ავტომატურად გადავიდეს დაბალი ენერგომოხმარების შესაბამის რეჟიმში | 20 წთ |

## **16.** გარემოსდაცვითი საკითხები

საჭიროა მასალების გადამუშავება, თუ პროდუქტზე გამოსახულია სიმბოლო ♺. გადამუშავებისთვის შესაფუთი მასალა მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში. დაგვეხმარეთ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების გადამუშავებით.

მოწყობილობა, რომელზეც გამოსახულია სიმბოლო 🗑 არ უნდა გადააგდოთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. დააბრუნეთ პროდუქტი თქვენს ადგილობრივ გადასამუშავებელ ობიექტში ან დაუკავშირდით თქვენს მუნიციპალურ სამსახურს.

electrolux.com

867375927-C-422025